# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1476

ქ. თბილისი „05" 10 2007 წ.

### შპს „ინდუსტრია კირი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს შპს „ინდუსტრია კირი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა– კირის წარმოებაზე
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ქსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი,. სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32, 04.10.07. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი.

დავით ჩანტლაძე
მინისტრი

*ეგზავნება:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

### გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00089

კოდი **M D 1** „05" „ოქტომბერი" 2007 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „ინდუსტრიაკირი"
2. საქმიანობის მიზანი — კირის წარმოება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა — ქ. რუსთავი მშენებელთა ქ. 70
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — შპს „ეკოლოცენტრი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი — სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე N32, 04.10.07.
7. ნებართვის პირობები — ნებართვა მოქმედებს სახ. ეკ. ექსპერტი-ზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში